განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამა

## სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

6-16 თებერვალი 2022

11 მარტი 2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | 19.08.2016 , №104 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი მანველიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ივანნა მაჩიტაძე ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს №104 გადაწყვეტილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების:ევროპა და ახლო აღმოსავლეთი საბაკალავრო საგანმანათ-ლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამის შემოწმება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა 2022 წლის 6-16 თებერვალს. შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტის კომპონენტების ნაწილზე.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი საბაკალავრო პროგრამა **სრულად შეესაბამება** აკრედიტაციის შესაფასებლად წარმოდგენილ 3 სტანდარტს:

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 4 (4.1. და 4.2 კომპონენტები) - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, ისეთი სასწავლო კურსის შემთხვევაში როგორიცაა „ნაციონალიზმი და თანამედროვე პოლიტიკა" წინაპირობად განისაზღვროს პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში საჭიროა გამოყენებული ლიტერატურის განახლება (საერთაშორისო საჯარო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაცია და სხვა);
3. იმ სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც ძირითადი ლიტერატურის ნაწილი ინგლისური ენაზეა, სასურველია, ინგლისური ენის ბ 2 დონეზე ან ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის წინაპირობად მითითება (მაგ. საჯარო საერთაშორისო სამართალი და სხვა).

4. სასურველია პრაქტიკის შემოთავაზება, როგორც არჩევითი კომპონენტის ორივე მიმართულების ფარგლებში (ევროპის და ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაში), რაც დადებითად იმოქმედებს პროგრამის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების:ევროპა და ახლო აღმოსავლეთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში და საბაკალავრო პროგრამის მიზნების მიხედვით ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან’’ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში განახლდა და დაიხვეწა პროგრამის მიზნები.<br>განხორციელებული ცვლილების შედეგად, პროგრამის მიზანია, მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, რომელსაც აქვს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი კონცეფციების, თეორიების და მეთოდების/მიდგომების ფართო ცოდნა, აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ურთიერთმიმართებას ისეთ მომიჯნავე დარგებთან, როგორიცაა პოლიტიკის მეცნიერება, ისტორია, ეკონომიკა, საერთაშორისო სამართალი და შეუძლია კრიტიკულად გაიაზროს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალური ასპექტები, მაგალითად, საერთაშორისო წესრიგის დინამიკა, საერთაშორისო სისტემების რეგიონული ელემენტების სპეციფიკა, ინსტიტუტებისა და პოლიტიკის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საერთაშორისო უსაფრთხოება, ეკონომიკა, სამართალი. აღნიშნული ცვლილებების შედეგად პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია მოვიდა ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავის სფეროს კლასიფიკატორითან .<br>განხორცელებული ცვლილების შედეგად, პროგრამა პასუხობს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის საბაკალავრო დონის შესაბამის თანამედროვე ტენდენციებს. პროგრამის მიზნები მორგებულია დარგის აქტუალობას და საერთაშორისო პრაქტიკას. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო დარგობრივი მახასიათებელი QAA Subject Statement: Politics and International Relations. ასევე გამოყენებული იყო ბოსტონის და მიზურის უნივერსტეტში საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების საერთაშორისო პრაქტიკა.<br>განხორციელებული ცვლილების შედეგად, საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. საბაკალავრო პროგრამის დანართი მოიცავს მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკას, რომელიც ადასტურებს ურთიერთკავშირს კომპეტენციებსა და მიზნებს შორის. ჩამოთვლილი მიზნები ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში თუ რა ფართო თეორიულ ცოდნას, უნარებს და უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ კურსდამთავრებულს ამზადებს აღნიშნული პროგრამა, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს |

საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამაში წარდგენილი კომპონენტების ერთობლიობა, ძირითადად, იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. პროგრამა კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს პროფესიული კარიერა და დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო დაწესებულებებში ან მათ სტრუქტურულ ერთეულებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, და ა.შ. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის წინა გადაწყვეტილების ფარგლებში აღნიშნული კომპონენტი შეფასებულია როგორც შესაბამისობაში აკრედიტაციის მოთხოვნებთან (19 აგვისტოს 2016 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
3. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://iliauni.edu.ge/ge/
4. გადაწყვეტილება - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ
5. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების საგანმანთლებლო პროგრამის შესახებ 2016 წელი

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების:ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში და საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. ჩარჩოსთან შესაბამისობის მოყვანის პროცესში, პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტირდა, ჩამოყალიბდა აკუმულირებული სახით და ორიენტირებული გახდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის აღმწერთან. შედეგებში აისახა აღმწერით განსაზღვრული ცოდნა/გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ასპექტები.

პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა 10 შედეგი:

1. ამჟღავნებს ფართო ცოდნას პოლიტიკური აზრის განვითარების სხვადასხვა ეტაპების და წამყვანი კლასიკური და თანამედროვე პოლიტიკური თეორიების შესახებ;
2. ავლენს ფართო ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების, კლასიკური და თანამედროვე თეორიების, ასევე, დისციპლინის განვითარების ისტორიის და ძირითადი დებატების შესახებ;
3. ავლენს ფართო ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი და აქტუალური ასპექტების შესახებ (მაგ.: ეროვნული უსაფრთხოება, კონფლიქტები და მშვიდობა, საერთაშორისო განვითარება, გლობალიზაცია, საერთაშორისო ინტეგრაცია, საგარეო პოლიტიკა და ა.შ.);
4. შეუძლია აღწეროს საერთაშორისო ინსტიტუტების/ორგანიზაციების როლი, მათი ორგანიზაციული სტრუქტურები და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები;
5. შეუძლია გამოიყენოს ძირითადი კონცეფციები, თეორიები და მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ძირითადი აქტორების, ინსტიტუტების ან/და მოვლენის/პრაქტიკის კრიტიკული ანალიზისთვის;
6. ავლენს სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ძირითადი მეთოდების ფართო ცოდნას
7. ავლენს ფართო ცოდნას ევროპის ან ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში მიმდინარე პროცესების და მოვლენების ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ასპექტების შესახებ;
8. შეუძლია გამოავლინოს და შეისწავლოს საერთასორისო ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა აქტუალური საკითხი, მათ შორის ერთ-ერთი რეგიონის (ევროპის, ახლო ღმოსავლეთის) ჭრილში, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
9. შეუძლია, ეფექტიანი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით როგორც მშობლიურ, ასევე არჩეული რეგიონის ერთ-ერთ უცხო ენაზე;
10. შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში ასევე გაწერილია სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია

| |
|---|
| სავალდებულო სასწავლო კურსები.<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების:ევროპა და ახლო აღმოსავლეთისაბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება შესაბამისი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების დროს გათვალისწინებულია დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის საწვლის შედეგებთან მიმართებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად, მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები. სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სავალდებულო კურსისათვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა მინიმუმ 80% ფასდება 51 და მეტი ქულით. სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვების პროცესი ეფუძნება თითოეულ სასწავლო კურსში შესაბამის შედეგზე დაკვირვებას, განისაზღვრება შეფასების რომელი კომპონენტებით ფასდება თითოეული მათგანი, მაგალითად, ტესტირებით, შუალედური გამოცდით, რეფერატით, დემონსტრირებით, დასკვნითი გამოცდით და სხვა. აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები. შეფასების მექანიზმებში ასევე განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების გრაფიკი და ის სწავლების საფეხურის ოთხივე აკადემიურ წელს მოიცავს.<br>საერთაშორისო ურთიერთობების: ევროპის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაცია.<br>აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის წინა გადაწყვეტილების ფარგლებში აღნიშნული კომპონენტი შეფასებულია როგორც შესაბამისობაში აკრედიტაციის მოთხოვნებთან, (19 აგვისტოს 2016 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში<br>2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>3. სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი<br>4. გადაწყვეტილება - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ<br>5. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების საგანმანთლებლო პროგრამის შესახებ 2016 წელი |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.<br>პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვისთვის წინასწარ განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს სათანადო ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას, რაც პირდაპირ უკავშირდება პროგრამის შინაარსს - პროგრამაზე |

| |
|---|
| წარმატებული სწავლისთვის აუცილებელ საჭიროებებსა და სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის წინა გადაწყვეტილების ფარგლებში აღნიშნული ქვესტანდარტი შეფასებულია როგორც შესაბამისობაში აკრედიტაციის მოთხოვნებთან, შესაბამისად პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ იქნა გაცემული (19 აგვისტოს 2016 წლის საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება (ოქმი # 12)<br>○ საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასებ**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ევროპა დაახლო აღმოსავლეთი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილი დეტალური მოთხოვნების შესრულება. პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშნველოვან ასპექტთან მიმართებაში ინფორმაცია წარმოდგენილია ხელმისაწვდომ დოკუმენტაციაში.<br>ხაზგასასმელია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების (ევროპა და ახლო აღმოსავლეთი) საბაკალავრო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, შეესაბამება სწავლების საფეხურს.<br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ორ მიმართულებას - **ევროპას და ახლო აღმოსავლეთს.**<br>**თითოეული მიმართულებით პროგრამა ითვალისწინებს 240 კრედიტის** დაგროვებას |

შემდეგი სქემის მიხედვით:

1. **თავისუფალი კომპონენტი:** საბაკალავრო საფეხურის საუნივერსიტეტო ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;
2. **საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი მოდულიდან:**
   - სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი
   - სავალდებულო-არჩევითი კურსები - 18 კრედიტი
3. **არჩეული ბლოკის (ევროპა ან ახლო აღმოსავლეთი) სავალდებულო კურსები** - 30 კრედიტი
4. **არჩეული ბლოკის ფარგლებში შეთავაზებული ერთ-ერთი რომელიმე ენის პრაქტიკული კურსები** - 36 კრედიტი
5. **თავისუფალი კომპონენტები, ან დამატებითი სპეციალობა** - 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და ლოგიკურია შინაარსობრივი, ადამიანური რესურსებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსების ინტეგრირებული მართვის დონეზე. აღსანიშნავია, რომ წინა აკრედიტაციის გადაწყვეტილების შესაბამისად (19 აგვისტოს 2016 წლის საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება) პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია დიპლომატიის ისტორიის მე-17-20 საუკუნეებში ორ ნაწილად გაყოფაზე. ამავე დროს, კურსის დამატება დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის შესახებ პროგრამის სავალდებულო ნაწილში არ იქნა გათვალისწინებული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საერთაშორისო ურთიერთობების (ევროპა და ახლო აღმოსავლეთი) საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- 19 აგვისტოს 2016 წლის საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება.
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების საგანმანთლებლო პროგრამის შესახებ

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს

| |
|---|
| აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების (ევროპა და ახლო აღმოსავლეთი) საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. შინაარსი პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს და კურსის სწავლის შედეგებს.<br>როგორც სავალდებულო, ასევე, სავალდებულო-არჩევით სასწავლო კურსებს გააჩნიათ კრედიტებით დატვირთვა, დამოუკიდებული და საკონტაქტო საათების გადანაწილება, ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი. სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების ხარისხის შეფასება სტუდენტების მიერ, რაც იძლევა კურსების შინაარსის, მეთოდოლოგიური მხარის გაუმჯობესების საშუალებას.<br>სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში სტუდენტს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს დარგისთვის აქტუალური საკითხები. ყურადღება მისაქცევია, რომ სასწავლო კურსების ფარგლებში შინაარსის მეტად ეფექტიანი ათვისებისათვის ისეთი სასწავლო კურსის შემთხვევაში როგორიცაა „ნაციონალიზმი და თანამედროვე პოლიტიკა" სასურველია, წინაპირობად განისაზღვროს პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.<br>სილაბუსებში მითითებული მასალა დაფუძნებულია უმეტესწილად თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთანავე, რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში საჭიროა გამოყენებული ლიტერატურის განახლება (საერთასორისო საჯარო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაცია და სხვა). მისასალმებელია, ძირითადი ლიტერატურის ნაწილში ინგლისურენოვანი წყაროების გამოყენება. ამავე დროს, ყურადღება მისაქცევია, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა ინგლისური ენის B2 დონეზე ან ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის წინაპირობად მითითება (მაგ. საჯარო საერთაშორისო სამართალი და სხვა). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საერთაშორისო ურთიერთობების (ევროპა და ახლო აღმოსავლეთი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ პროგრამის კომპეტენციების რუკა, საგნების ჩამონათვალი.<br>○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების საგანმანთლებლო პროგრამის შესახებ |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ სასურველია, ისეთი სასწავლო კურსის შემთხვევაში როგორიცაა „ნაციონალიზმი და თანამედროვე პოლიტიკა" წინაპირობად განისაზღვროს პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი;<br>○ რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში საჭიროა გამოყენებული ლიტერატურის განახლება (საერთასორისო საჯარო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაცია და სხვა);<br>○ იმ სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც ძირითადი ლიტერატურის ნაწილი |

| |
|---|
| ინგლისურ ენაზეა, სასურველია, ინგლისური ენის ბ2 დონეზე ან ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის წინაპირობად მითითება (მაგ. საჯარო საერთაშორისო სამართალი და სხვა). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საერთაშორისო ურთიერთობების (ევროპა-ახლო აღმოსავლეთი) საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის გადაცემაზე, პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები შემდეგია: „უსაფრთხოების კვლევები“, „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ (სავალდებულო სასწავლო კურსი), „თანამედროვე ევროპის ისტორია“, „ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები“, ასევე „საბაკალავრო ნაშრომი“, რომელიც ასევე არის სავალდებულო-არჩევითი კომპონენტის შემადგენელი ნაწილი.<br>აღნიშნულ კვლევაზე მუშაობის პერიოდის განმავლობაში სტუდენტი იძენს კონპლექსურ უნარებს: ლიტერატურის მოძიება, კვლევის მეთოდოლოგიის დადგენა, ემპირიული მონაცემების მოპოვება, დამუშავება და ანალიზი; წერისა და ბოლოს, კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი.<br>წარდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას. აღნიშნული უნარების ფორმირებას ხელს უწყობს ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“, „მოლაპარაკების მეთოდები“, „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“ , „სტატისტიკა“. ამ კურსების მიზანია სტუდენტს განუვითაროს ყველა ის პრაქტიკული უნარ-ჩვევა, რაც აუცილებელია დარგის აქტუალურ საკითხებზე ცოდნის გაღრმავებისა და ხელმძღვანელის დაკვირვების პირობებში დაგეგმილი სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის საბაზო უნარ-ჩვევების შეძენისა და გამოყენებისთვის. ასევე, პროგრამა უზრუნველყოფს ეფექტიან ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>აღსანიშნავია მეორე უცხო ენის კომპონენტის ფარგლებში შემოთავაზებული ენების ფართო არჩევანი, რომლითაც სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს (არაბული, გერმანული, ესპანური, ფრანგული, ებრაული, სპარსული, ნიდერლანდური, იტალიური, პოლონური და თურქული). იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური |

| |
|---|
| თანამშრომლობით (იხ. მემორანდუმები), პრაქტიკის შემოთავაზება, როგორც არჩევითი კომპონენტის ორივე მიმართულების ფარგლებში (ევროპის და ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაში), დადებითად იმოქმედებს პროგრამის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითერაბაზე.<br>სასწავლო პროცესში გამოიყენება ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin, სადაც ხდება ცალკეული დავალებების, სასწავლო კურსით გათვალისწინებული ესებისა და საბაკალავრო ნაშრომის ცალკეული ნაწილების ატვირთვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საერთაშორისო ურთიერთობები (ევროპა და ახლო აღმოსავლეთი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ მემორანდუმები პარტნიორ-ორგანიზაციებთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ სასურველია პრაქტიკის შემოთავაზება, როგორც არჩევითი კომპონენტის ორივე მიმართულების ფარგლებში (ევროპის და ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაში), რაც დადებითად იმოქმედებს პროგრამის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითერაბაზე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება:**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
